



# ▶ სამუშაო ადგილზე COVID-19-ის პრევენციისა და შერბილების ღონისძიებების განხორციელება ღონისძიებათა შესახებ კითხვარი

დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნა განხორციელდა პროექტის ILO/DANIDA „ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი სამუშაო ადგილების შესაქმნელად საქართველოში“ ფინანსური ხელშეწყობით.

თარიღი: 06/04/2020

წინამდებარე კითხვარი წარმოადგენს სამუშაო ადგილზე COVID-19-ის პანდემიის გავრცელების შერბილების პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების მართვის ინსტრუმენტს. მისი წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია დამსაქმებლებს, უშუალო უფროსებსა და დასაქმებულებს შორის თანამშრომლობაზე, დადებითი ცვლილებების მოსახდენად და COVID-19-ის მიმართ რეაგირებისა და მზადყოფნის გასაუმჯობესებლად სამუშაო ადგილზე. დამსაქმებლებმა ამ პროცესში უნდა ჩართონ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების კომიტეტები, ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები.

## როგორ ვისარგებლოთ წინამდებარე კითხვარით?

- ▶ 1. გუნდის გამოყოფა, რომელიც შედგება ზედა რგოლის ხელმძღვანელი პირებისგან, უშუალო უფროსებისგან, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალისაგან.
- ▶ 2. წინამდებარე კითხვარის ეტაპების შესახებ გუნდისათვის ბრიფინგისა და ტრენინგის ჩატარება.
- ▶ 3. შეავსეთ მოცემული კითხვარი და ჩაწერეთ შემოწმების შედეგები.
- ▶ 4. გუნდურად დაგეგმეთ განსახორციელებელი ღონისძიებები და გაწერეთ მათი შესრულების ვადები. მოიძიეთ ღონისძიების განხორციელების გზები, და საჭიროების შემთხვევაში, დაეკითხეთ რეგიონალურ მენეჯერს, ან რჩევისათვის მიმართეთ დასაქმებულებს.
  - იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის ღონისძიება უკვე განხორციელდა, ან არ არის საჭირო მისი განხორციელება, მონიშნეთ პასუხი არა ამ შეკითხვის, „სთავაზობთ თუ არა ქმედების განხორციელებას“ ქვეშ.
  - იმ შემთხვევაში, თუ მიგაჩნიათ, რომ მოცემული ღონისძიების განხორციელება შედეგიანი იქნება, მონიშნეთ პასუხი დიახ.
  - შენიშვნებისათვის განკუთვნილ ადგილში დაამატეთ კომენტარები, აღწერეთ სიტუაცია, ან დაამატეთ თქვენი წინადადება.
- ▶ 5. კიდევ ერთხელ გადახედეთ იმ საკითხებს, რომელზეც უპასუხეთ დიახ. ის ღონისძიებები, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, მონიშნეთ როგორც პრიორიტეტი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, რამდენად მეტად ან ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ მოცემული სიტუაციები ზემოქმედებას მოახდენენ

დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე, ასევე - მათ სერიოზულობისა და გადაუდებლად შესრულების საჭიროების მიხედვით.

▶ 6. წინამდებარე კითხვარის შევსების შესახებ გამართეთ ჯგუფის დისკუსია, რათა ხელმძღვანელობისთვის (პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ ეტაპს არსებითი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური ცვლილების ხელშესაწყობად) წინადადებები მოამზადოთ.

▶ 7. ჯგუფის დისკუსიის შედეგები წარუდგინეთ ხელმძღვანელობას გაუმჯობესების შეთავაზებული ღონისძიებების უწყვეტი განხორციელების დაგეგმვისათვის.<sup>2</sup>

განმარტების მისაღებად გუნდმა ორჭოფობის გარეშე უნდა მიმართოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ორგანიზაციებს, შრომის ინსპექტორებს, უსაფრთხოების ეროვნულ ორგანიზაციებს, ან შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პროფესიულ ასოციაციებს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს.

ეს არ არის ყველა აუცილებელი ღონისძიების ამომწურავი ჩამონათვალი. გუნდმა წარმოდგენილ კითხვარს უნდა დაამატოს ნებისმიერი დამატებითი ღონისძიება, რომელსაც ისინი შესაბამისად მიიჩნევენ სამუშაო ადგილზე COVID-19-ზე რეაგირების მოსახდენად. ხელმძღვანელობამ უნდა დააკმაყოფილოს ეროვნული სამართლებრივი ვალდებულებები სამუშაო ადგილზე COVID-19-ის პრევენციისა და კითხვარის სამოქმედოდ შემოსაღებად.

---

<sup>2</sup> პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, რამდენად მეტად ან ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ მოცემული სიტუაციები ზემოქმედებას მოახდენენ დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე, ასევე - მათ სერიოზულობისა და გადაუდებლად შესრულების საჭიროების მიხედვით.



## I. პოლიტიკა, დაგეგმვა და ორგანიზება

**1** დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად სამუშაო ადგილზე ვირუსით დაინფიცირებისა და COVID-19-ის გავრცელების რისკის შემცირებასთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ აღებული ვალდებულებისა და პასუხისმგებლობების შესახებ განცხადების შემუშავება და მისი შესაბამის ადგილას განთავსება.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**2** სამუშაო ადგილზე COVID-19-ის პრევენციისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შემუშავება ყველა იმ სამუშაო სივრცის და სამუშაოთა, რომელთაც დასაქმებულები ასრულებენ - და ამ დაავადების ყველა შესაძლო გავრცელების წყაროს გათვალისწინებით.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**3** რეგულარული კონსულტაციების გავლა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის სამსახურებთან, ჯანდაცვის ადგილობრივ ზედამხედველ ორგანოსთან, ან სხვა პარტნიორებთან, რომელთაც სამუშაო ადგილზე ვირუსის გავრცელების რისკის პრევენციის ხელშესაწყობად შესაძლოა უკვე შეიმუშავეს საინფორმაციო მასალები და სხვა საექსპერტო რჩევები. გავრცელების წყაროს გათვალისწინებით.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

*შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) 2001 წლის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის სისტემების შესაბამისად (§3.1.1.) გადაუდებელი პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებები უნდა შემუშავდეს ორგანიზაციის სიდიდისა და საქმიანობის შინაარსის შესაბამისად. ისინი უნდა შემუშავდეს გარეშე გადაუდებელ სამსახურებთან და სხვა ორგანოებთან თანამშრომლობით, შესაბამის შემთხვევაში, და: უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, შიდა კომუნიკაცია და კოორდინირება სამუშაო ადგილზე გადაუდებელი შემთხვევის დროს ყველა პირის დასაცავად; უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან, მახლობელ დასახლებასთან და გადაუდებელი რეაგირების სამსახურებთან კომუნიკაცია; გაითვალისწინოს პირველადი და სამედიცინო დახმარება, ხანძარსაწინააღმდეგო ზომები და ყველა ადამიანის ევაკუაცია სამუშაო ადგილიდან; და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და ტრენინგის ჩატარება ორგანიზაციის ყველა წევრისთვის, ყველა დონეზე, მათ შორის რეგულარული ვარჯიშების ჩატარება გადაუდებელ სიტუაციებში პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროცედურებში.*

**4** სამუშაო ადგილზე სისტემის ჩამოყალიბება **COVID-19**-თან დაკავშირებით მიმდინარე სიტუაციის შესახებ დასაქმებულებისათვის განახლებული და საიმედო ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საერთო ეროვნული, ან ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე მითითებით.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**5** ორგანიზაციაში ყველა ოპერაციასთან და სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საფრთხის აღრიცხვა.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**6** ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინტეგრირება თქვენი ორგანიზაციის საგანგებო შემთხვევებისა და საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირების გეგმაში და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების გათვალისწინება, მათ შორის იმ საკითხის, თუ სად უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის საქმიანობა შემცირებული სამუშაო ძალით.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**7** სამუშაო ადგილზე **COVID-19**-ის გავრცელების მინიმალურად შესამცირებლად ხელი შეუწყეთ არაკრიტიკული მნიშვნელობის სამუშაოთა შემსრულებელი თანამშრომლების დისტანციურად მუშაობას.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**8** იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დისტანციურად მუშაობა, შემოიღეთ ცვლები მუშაობა, რათა თავიდან აიცილოთ სამუშაო სივრცეებში დასაქმებულთა დიდი რაოდენობით თავმოყრა.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**9** გეგმის შემუშავება, თუ რა უნდა მოიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ადგილზე დადასტურდება, ან ეჭვი იარსებებს დასაქმებულის **COVID-19**-ით დაავადების შესახებ. ეს გეგმა მრავალ სხვა საკითხთან ერთად უნდა მოიცავდეს შეტყობინებას, მონიტორინგს, და დეზინფექციის ჩატარებას ეროვნული გაიდლაინების შესაბამისად.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**10** ეროვნული სტანდარტების შესაბამისად ავადმყოფობის გამო ანაზღაურებადი შვებულების აღების, ავადმყოფობის გამო დახმარებების მიღების, და მშობლობის/პირის მოვლის გამო შვებულების აღების შესაძლებლობის გაადვილება და ყველა დასაქმებულის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**11** COVID-19-ის პრევენციის სტრატეგიების და გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შემოღება.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

## ▶ II. რისკების შეფასება, მართვა და კომუნიკაცია

**12** სამუშაო ადგილზე თანამშრომლებთან, კონტრაქტორებთან, მომხმარებლებთან და ვიზიტორებთან ურთიერთობის და სამუშაო გარემოს დაბინძურების პოტენციური რისკის შეფასება და ღონისძიებების განხორციელება (იხილეთ სექცია III).

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**13** ხელმძღვანელობისათვის, დასაქმებულების და მათი წარმომადგენლებისათვის ტრენინგის ჩატარება ვირუსით დაინფიცირების რისკის პრევენციის ღონისძიებებსა და COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში მოქცევის წესების შესახებ. მაღალი რისკის წინაშე მყოფი დასაქმებულებისათვის განკუთვნილი ტრენინგი უნდა შეიცავდეს ტრენინგს პერსონალური დაცვის აღჭურვილობის (PPE) სწორ გამოყენებაში, მოვლასა და მის საბოლოო განთავსებაში.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**14** თანამშრომლებს შეატყობინეთ, რომ თითოეულ მათგანს უფლება აქვთ სიცოცხლის, ან ჯანმრთელობის დაუყოვნებელი და სერიოზული საფრთხის შემთხვევაში სამუშაო სივრცე დატოვოს, ეროვნული კანონმდებლობის და განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ამგვარი სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ თავიანთ უშუალო უფროსს.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:



**15** მიწოდებაზე მომუშავე თანამშრომლების, სატვირთო მანქანების მძღოლების და ტრანსპორტის სხვა თანამშრომლების დახმარება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს უშუალო კონტაქტი მომხმარებლებთან და უზრუნველყოფილ იქნას პერსონალური ჰიგიენის პრაქტიკის დაცვა, როგორცაა ხელების დაბანვა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება. იმ თანამშრომლებისათვის პერსონალური დაცვის აღჭურვილობით უზრუნველყოფა, თუ მათ უშუალო კონტაქტი აქვთ კლიენტებთან.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**16** იმ შემთხვევაში, თუ მგზავრობა არ არის აუცილებელი, თავიდან უნდა იქნას არიდებული. შეაფასეთ **COVID-19**-ით დაინფიცირების რისკი დაგეგმილი საქმიანი მივლინებების შემთხვევაში (მგზავრობის ყველა ეტაპისათვის და შესასრულებელი დავალებებისათვის).<sup>4</sup>

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**17** რეგულარული კომუნიკაციის შენარჩუნება დასაქმებულებთან და დასაქმებულთა წარმომადგენლებთან, მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით, ან თუ ეს შესაძლებელი არ არის, ტელეფონის მეშვეობით.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**18** თანამშრომლების დახმარება ნებისმიერი წარმოქმნილი ფსიქოლოგიური რისკების, სამუშაოს ახალი ფორმების მართვაში და ცხოვრების ჯანსაღი სტილის, მათ შორის კვების, დასვენების და ძილის, ვარჯიშის და მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან სოციალური კონტაქტების შენარჩუნების ხელშეწყობაში.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**19** სამუშაოს ორგანიზება ისე, რომ ფიზიკური დაშორება მინიმუმ 2 მეტრს (6 ფუტს) შეადგენდეს სხვა ადამიანებისგან, ან იმ მანძილის დაცვით, რომელიც შესაბამისმა კომპეტენტურმა ზედამხედველმა ორგანომ განსაზღვრა.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**20** პირადი შეხვედრების თავიდან აცილება და უპირატესობის მინიჭება სატელეფონო საუბრებისათვის, ელ. ფოსტით დაკავშირების ან ვირტუალური შეხვედრებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა შეხვედრების ორგანიზება, ისინი მოაწყვეთ ისეთ ადგილას, სადაც სივრცე ფიზიკური დაშორების საშუალებას იძლევა.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

<sup>4</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/travel-advice>

**21** პერსონალისათვის, მომხმარებლებისა და ვიზიტორებისათვის უზრუნველყავით საკმარისი და ადვილად მისადგომი ადგილები, სადაც მათ შეუძლიათ დაიფანონ ხელები საპნით და წყლით, გამოიყენონ ხელის სადეზინფექციო საშუალებები და გარდა ამისა, ხელი შუწყეთ ხელის დაბანის კულტურას.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**22** სამუშაო ადგილას გამოსაჩენ ადგილებში ხელის სადეზინფექციო საშუალებების მოთავსება და მათი რეგულარულად შევსების უზრუნველყოფა.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**23** სამუშაო მაგიდების და მათზე მოთავსებული სამუშაო ტენიკის, კარის სახელურების, ტელეფონის აპარატების, კლავიატურის და სამუშაო ნივთების სადეზინფექციო საშუალებებით რეგულარულად გაწმენდის კულტურის ხელშეწყობა და საერთო სივრცეების, მათ შორის ტუალეტების, რეგულარული დეზინფექცია. ის ზედაპირები, რომელთაც ხშირად ეხებიან, უფრო ხშირად უნდა გაიწმინდოს. თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის მიხედვით გაითვალისწინეთ დასუფთავების და დეზინფიცირების სამსახურების დაქირავება.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**24** ჰაერის გამწოვი სავენტილაციო სისტემის გაუმჯობესება და უფრო მეტი სუფთა ჰაერის ცირკულირება იმ ოთახებსა და საქმიანობის განხორციელების სივრცეებში, სადაც ვირუსის გავრცელების მაღალი რისკია.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**25** სამუშაო ადგილზე სათანადო რესპირატორული ჰიგიენის დაცვის - როგორცაა ხველების ან დაცემინებისას პირის და ცხვირის დაფარვა მოხრილი მკლავით, ან ცხვირსახოცით - ხელშეწყობა და კომუნიკაცია აღნიშნულის შესახებ.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**26** სოციალური დისტანციის დაცვა სამუშაო ადგილზე და „თავშეყრის ადგილებში“<sup>5</sup> ყოფნის თავიდან აცილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

<sup>5</sup> ისეთი ადგილები, სადაც ადამიანები ხვდებიან და თავს იყრიან, მაგალითად, კაფეტერიები.

**27** სამუშაო ადგილების შესაბამისი სახის ნიღბებით უზრუნველყოფა, საწმენდი ქაღალდით მომარაგება, რომელსაც სამუშაო ადგილზე ისინი გამოიყენებენ, ვისაც ცხვირიდან ჩამონადენი ექნება, ან ხველა აღენიშნება, ასევე თავსახურიანი ნაგვის ურნების დადგმა გამოყენებული ქაღალდის ჰიგიენური განთავსებისათვის.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

► IV. პირობების შემუშავება პირის ვირუსით ინფიცირების ეჭვისა და COVID-19-ით დაავადების დადასტურებული შემთხვევებისათვის

**28** ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების მითითებების შესაბამისად, თქვენს თანამშრომლებს, რომელთაც სავარაუდოდ COV ID -19-ით დაავადების სიმპტომები აქვთ, მოუწოდეთ, რომ არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე და დაიცვან ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების მითითებები.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**29** დასაქმებულებს ურჩიეთ, რომ დაუკავშირდნენ ჯანდაცვის მომსახურების იმ მიმწოდებლებს, რომელთა მომსახურებითაც ისინი სარგებლობენ, ან ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულია, მათ შორის, როდესაც აღენიშნებათ გართულებული სუნთქვა, და დეტალურად შეატყობინონ მათ, თუ სად იმოგზაურეს ბოლო დროს და რა სიმპტომები აქვთ.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:

**30** უზრუნველყოფით ნებისმიერი პირის იზოლირება სამუშაო ადგილზე, რომელსაც განუვითარდება COVID-19-ის სიმპტომები იმ დრომდე, სანამ მას ჯანდაცვის შესაბამის დაწესებულებაში გადაიყვანენ. უზრუნველყოფით სამუშაო ადგილის დეზინფიცირება და იმ პირთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობა, რომელთაც ახლო კონტაქტი ჰქონდათ ამ პირთან.

შესთავაზებთ ამ ღონისძიებას განხორციელებას?

არა      დიახ      პრიორიტეტი

შენიშვნები:



# ▶ დანართი I

---

## სამოქმედო გეგმა და დამატებითი ფორმა

### 1. ღონისძიების დაგეგმვა

დეპარტამენტი/განყოფილება/სამუშაო პროცესი:

-----

-----

თარიღი: \_\_\_\_\_

გუნდი: \_\_\_\_\_

ტექნიკური საკითხები:

პოლიტიკა, დაგეგმვა და ორგანიზება

რისკების შეფასება, მართვა და კომუნიკაცია

პრევენციისა და შერბილების ღონისძიებები

Covid-19-ით დაავადების სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევებისათვის ზომების შემუშავება.

სხვა საკითხები \_\_\_\_\_

-----

მოსალოდნელი გაუმჯობესების აღწერა

---

---

---

ადგილმდებარეობა

---

---

---

---

---

აღწერა

---

---

---

გეგმის შესრულების სავარაუდო თარიღი

---

---

· სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებში მიღწეული გაუმჯობესებისათვის ცალკე ფურცლები გამოიყენეთ.

**2. განხორციელებული ღონისძიების შემდგომი ინფორმაცია: (ინფორმაცია მიღწეული გაუმჯობესების შედეგის/შედეგების შესახებ)**

თარიღი: \_\_\_\_\_

გუნდი: \_\_\_\_\_

დეპარტამენტი/განყოფილება/სამუშაო პროცესი: \_\_\_\_\_

მიღწეული გაუმჯობესების/მიმდინარე გაუმჯობესების პროგრესის დასახელება:

-----  
-----  
-----  
-----

ტექნიკური სფერო:

- პოლიტიკა, დაგეგმვა და ორგანიზება
  
- რისკების შეფასება, მართვა და კომუნიკაცია
  
- პრევენციისა და შერბილების ღონისძიებები
  
- Covid-19-ით დაავადების სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევებისათვის ზომების შემუშავება.
  
  
- სხვა საკითხები \_\_\_\_\_

გაუმჯობესების განხორციელების თარიღი:

-----

---

პასუხისმგებელი პირის/პირების ვინაობა:

---

---

გაუმჯობესების შესასრულებლად საჭირო პერიოდი: \_\_\_\_\_

განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და მეთოდები:

---

---

გაუმჯობესების შესაძლებლობები:

---

---

---

---

გაუმჯობესების მიღწევის ძლიერი მხარეები:

---

---

---

---

გაუმჯობესების განხორციელებისათვის საჭირო დახმარება (მათ შორის შრომის უსაფრთხოების და  
ჯანმრთელობის ზედამხედველი ორგანო/ორგანოები):

---

---

---

---